ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალგაზდა სოციალ-დემოკრატი

უცხოეთში მყოფ ქართველ სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ორგანო
პარიზის კომიტეტის გამოცემა

LE JEUNE SOCIAL DEMOCRATE. Edition géorgienne

№ 1 (9) პარიზი, აგვისტო, 1931 წ. **Paris, Août, 1931.** № 1 (9)

29 აგვისტო

ჩვენი ეროვნული ცხოვრების თანამედროვე განვითარებაში აგვისტო-სექტემბრის დღეებს უდიდესი გაკვეთილის მნიშვნელობა აქვს. ქართველი ხალხის ეს აჯანყება შემთხვევითი ან ხელოვნურად მოწყობილი არ იყო. ეს იყო თავგანწირული იერიში იმ ბრძოლის გასაგრძელებლად, 1921 წლის თებერვალში ტფილისის კარებთან რომ წავაგეთ. სამი წელი (21-24) საქართველო, შემოჭრილ მტერთან შეურიგებლობის სიმწვავით, მეომარ მხარის ფსიქოლოგიით, ღია და ფარული დაპირისპირებით განწყობილი, სამხედრო ოპერაციის მოედანს წარმოადგენდა. თოფის წამლის სუნი ატმოსფერას ამძიმებდა და იარაღის მომარაგებაზე ფიქრი პოლიტიკური ვითარების სირთულეს ჩრდილავდა.

საუკუნით შეწყვეტილი ეროვნული სახელმწიფოებრივობის აღდგენა, ისეთი უდიდესი მოვლენა იყო ჩვენს ცხოვრებაში, რომ მან ძირიანად მოგვაბრუნა და ახალი, უვლელი გზების წინაშე დაგვაყენა. როცა ჩვენი ცხოვრება ახალი კალაპოტით უნდა წარმართულიყო, გუშინდელი ბატონის მემკვიდრეებმა ეს კალაპოტი ქურდულად, ვერაგულად, ქართული სისხლითა და ძვლებით ამოავსეს. გულცივობა, სიდინჯე, მოზომილი მსხვერპლი აქ შეუძლებელი იყო... ეს არ იყო გულისჯავრის პოლიტიკა, ეს იყო გადაჭრილ ძარღვებიდან ახეთქილი სისხლი, ეროვნული სხეულის ორგანიული ამბოხება.

მთელი საუკუნეების გსწრივ საქართველოს არ ახსოვს ასეთი დიდი კატასტროფა, რომ მთელი ერი შავი ზღვიდან ბამბაკის მთებამდე ფეხზე დამდგარიყოს და ამოწვდილი ხმალი უკანასკნელი მოქნევის დროს გადასტეხოდეს. ჩვენი ისტორიის სისხლით დაწერილმა ფურცლებმა ბევრი კატასტროფა იცის, მაგრამ ყველა კუთხური, პროვინციული ხასიათის... ასეთი კი არა. ეს — ერთიანი, მონოლიტური გამოსვლა იყო ყველა კუთხეების და სოციალური ფენების, გეოგრაფიულად და პოლიტიკურად გაერთიანებული ქვეყნის.

ჩვენ დავმარცხდით და დაგვრჩა ათასობით გულგახვრეტილ მებრძოლთა ლანდები — მოწამებრივი, გაუტეხელი, უანგარო და სპეტაკი. ეს ის ძეგლია, მომავალ თაობებს რომ გადაეცემა, მასში ეროვნულ ცხოველმყოფელობას რომ განამტკიცებს.

აჯანყების დამარცხებამ, თავდავიწყებულ ბრძოლაში გაღებულ მსხვერპლმა, წარმოებულ ბრძოლის მეთოდების შეფასების საკითხი დღის-წესრიგში დასვა; მომენტის სიღრმე და სირთულე ამ მეთოდების პირდაპირ, ხელსახებად გადასინჯვას ითხოვდა და საქართველომ ეს მოახდინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან იწყება ახალი ხანა ჩვენი ეროვნული ბრძოლის ისტორიაში. მთელმა საქართველომ მომავალის ნათლად წარმოდგენის აუცილებლობა და ბრძოლის ახალი კურსის საჭიროება იგრძნო. ამ დიდი ბრძოლის მედროშე და მეთაური სოციალდემოკრატია ხალხთან მივიდა ბრძოლის ახალი პროგრამით, რომელმაც განმათავისუფლებელი გზების მოხაზულობა ძირიანად შესცვალა

რას შეიცავს ეს პროგრამა?

— ყველა სასიცოცხლო ძალების დაზოგვა, ეროვნული მეობის კიდევ მეტი განმტკიცება, მისი კიდევ მეტი კულტივაცია და ამასთან ერთად ჩვენი ტრადიციულიი სიმტკიცით, გაბატონებულ მტრის წინააღმდეგ იდეური პოლიტიკური მუშაობის საშუალებით ბრძოლის საბოლოო გამარჯვებამდე გაგრძელება. აი, ძირითადი დებულებები ახალი კურსისა, რომელიც ჩვენმა პარტიამ აიღო აგვისტოს შემდეგ.

ასეთი იყო პარტიის ნება და ამ გზაზე შესდგა ის საქართველოში. ამით ჩვენი ბრძოლის პოლიტიკა რეალურ, საიმედო და მყარე ნიადაგზეა გამართული. გამძლეობით აღსავსე მეთოდიური ბრძოლა, დიდი ტაქტი და მიზანშეწონილობა, დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა და პასუხისმგებლობა, — ეს არის ჩვენი განთავისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებელი პირობები.

მარტო პატარა საქართველო რუსეთს ვერ დაუპირისპირდება; ის ვერ დაადგება ბრძოლის დაშნაკურ მეთოდებს, რომლის შედეგი ოსმალეთის სომხობის ფიზიკური მოსპობა იყო. ჩვენი ამ გზაზე შედგომის მოსურნეა ჩვენი მტერი - მოსკოვის ხელისუფლება და მისი ტფილისელი აგენტები. მაგრამ ფხიზლად მოაზროვნე ქართველი ერი და მისი მედროშე ქართული სოციალდემოკრატია მტრის ამგვარ პროვოკაციას არ გაყვება.

რუსული ტირანია უნდა დაინგრეს. დაჩაგრულ-დაპყრობილ ერთა ინტერესს შეადგენს. ეს დანგრევა შინაგანი ძალების საშუალებით მოხდეს. და ჩვენი პოლიტიკაც ამას უნდა შეეფარდოს: შინაგან ძალთა კონსოლიდაცია, შინაგანი სამზადისი, მთელი ჩვენი სასიცოცხლო ეროვნული ძალების ამ ბრძოლაში ჩაბმა, ცდა ჩვენებრ დაპყრობილ ერების ამავე გზაზე დაყენებისა და ამ ერთა დემოკრატიული ფრონტით საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა. აი ის გზა, რომლითაც აქ, უცხოეთში, ჩვენდამი თანაგრძნობა უზრუნველყოფილია და იქ, ჩვენს ქვეყანაში, გამარჯვება აუცილებელი.

ასეთია მებრძოლ საქართველოს გულისთქმა. ქართველი სოციალდემოკრატიული ახალგაზრდობა ამ გულისთქმასთან არის. მთელი მისი არსება მებრძოლ საქართველოს განკარგულებაშია და მისი ბრძანების აღმასრულებელი.

სოციალისტური ინტერნაციონალი

და ჩვენ

წლევანდელი სოციალისტური კონგრესი ვენაში ერთი უმნიშვნელოვანესთაგანი იყო ინტერნაციონალის ისტორიაში. მის წინაშე იდგა ორი დიდი საკითხი, რომელნიც დღევანდელ მსოფლიო სოციალიზმის პროგრამის და მოქმედების მთავარ საგანს შეადგენენ.

პირველია — ბრძოლა ომის წინააღმდეგ, ბრძოლა განიარაღებისათვის — ეს არის ინტერნაციონალის არსებობის დედა-ძარღვი.

მეორე — ბრძოლა დემოკრატიისათვის, რომელიც სოციალისტურ ინტერნაციონალისათვის ერთად ერთი მისაღები საშუალება და გზაა სოციალიზმის განხორციელებისათვის.

ომი თუ ისტორიაში ხანდახან ისტორიული პროგრესის ფაქტორი ყოფილა, უკანასკნელ ხანებში ის გადაიქცა კაცობრიობის უაღრეს უბედურებად, ბარბაროსობის მატარებლად, ნივთიერ ჩამოქვეითების და ზნეობივ დაცემის საშუალებად. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიურად წარმოადგენს ერთს ერთეულს, სხვა და სხვა სახელმწიფოები ერთმანეთზე დამოკიდებული, ერთი მეორეზე გადაბმულია. ასეთ პირობებში ყოველი ომი ადვილად მსოფლიო ომად ხდება. უკანასკნელი ომი ამას ნათლად გვიმტკიცებს. ერთს კუთხეში ანთებული ცეცხლი მთელ მსოფლიოს ედება და მრავალ-მილიონ სიცოცხლეს მსხვერპლად ითხოვს, აუარებელ სიმდიდრეს ანადგურებს, და კაცობრიობას უფსკრულისაკენ მიაქანებს.

ომის შედეგები, ზავის ჩამოგდების 13 წლის შემდეგ, კაცობრიობას, მიუხედავად დიდი ტეხნიკურ პროგრესისა, დღესაც ვერ გადაულახავს. მიმდინარე კრიზისის მიზეზები ჩვენ სხვა მიზეზებთან ერთად მსოფლიო საშინელი ომის და მის უშუალო ეკონომიურ და პოლიტიკურ შედეგებში უნდა ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძებოთ. თუ თავის დროზე სათანადო ზომები არ იქ-ნა მიღებული, კატასტროფა აუცილებელია, რომელსაც ფაშიზმი და ბოლშევიზმი, ორი ტყუპი, პოლიტიკურად და მორალურად ერთი სულის მატარებელი, ორივე ომის პირმშო, მოუთმენლად ელოდებიან, რომ სასოწარკვეთილ კაცობრიობას თავზე წამოაჯდენ, ისე როგორც გაშმაგებული პირუტყვი მზად არის თავის მსხვერპლს დაეპატრონოს.

რა გასაკვირალია, რომ ინტერნაციონალი, როგორც კაცობრიობის საუკეთესო იდეალების მატარებელი, თავის მთავარ მიზნად ომისა და მილიტარიზმის ბრძოლას ისახავს. ამ ბრძოლაში მას გვერდს უმშვენებს ახალგაზრდა სოციალისტთა და პროფესიონალურ კავშირთა ინტერნაციონალი. ვენის კონგრესი და მანიფესტაციები ამ სამ ინტერნაციონალურ ორგანიზმის სულიერი ერთობის საუკეთესო დემონსტრაცია იყო.

ომის საშუალებით ინტერნაციონალს არავითარ დიდ და მისთვის ძვირფას მიზნის განხორციელება არ უნდა. ამით ის ძირიანად განსხვავდება ბოლშევიზმისაგან, რომელიც თავის იმედებს ომზე ამყარებს. ბრიუსელის კონგრესის დროს **ბრაიტშაიდმა** გერმანიის პარტიის ერთ-ერთ ლიდერმა, გამოხატა მთელი ინტერნაციონალის აზრი, როდესაც მან განაცხადა: — **„ჩვენ რომ დარწმუნებული ვიყოთ, რომ ახალი მსოფლიო ომი ჩვენ სოციალიზმს მოგვიტანს, ჩვენ ამ ფასადაც არ გვინდა ომი“**-ო. და წელს, ვენაში, ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი **ოტტო ბაუერი** თავის სიტყვაში აცხადებს შემდეგს: — „ზავის ხელშეკრულებებმა ზოგ სამართლიან შედეგებთან ერთად, (რომელთა შორის პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და იუგოსლავიის ეროვნულ გათავისუფლებას სთვლის), ბევრი ღრმა უსამართლობა დათესეს. ამიტომ ჩვენ სოციალდემოკრატებს აუცილებლად და გარდაუვალ საჭიროებად მიგვაჩნია ამ საზავო გელშეკრულებების რევიზია. **მაგრამ არის ერთი რამ, რომელსაც ჩვენ მაღლა ვაყენებთ: ეს არის ზავი, ეს არის ახალ ომის თავიდან აცილება“**. ამ განცხადებას მთელი ინტერნაციონალი ენტუზიაზმით შეხვდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ოტტო ბაუერმა ინტერნაციონალის გულისთქმა გამოხატა.

ჩვენ, ქართველი სოციალ-დემოკრატები, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ განსაკუთრებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ინტერნაციონალის ამ საერთო გულისთქმას ვუერთდებით, ვრჩებით მის მისწრაფებათა ფარგლებში და სხვა სოციალისტურ პარტიებთან სოლიდარობის გრძნობით გამსჭვალული, ვებრძვით ომის იდეას.

ენი ქვეყნის გათავისუფლების გზათა შორის ჩვენი პარტიის და ახალგაზრდობის მიერ ამოშლილია ომის გზა. ჩვენ ჩვენ სამშობლოს ტყვეობიდან დახსნას არ ვუკავშირებთ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კონფლიკტს, ჩვენ ომზე იმედს არ ვამყარებთ.

ომის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულია საერთო განიარაღების იდეა. ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რომელი მშვიდობიანობის და ეროვნულ თავისუფლების უზრუნველყოფის ერთად ერთ საშუალებას დიდ ჯარისა და ფლოტის შექმნაში ხედავს, სოციალისტური ინტერნაციონალი აცხადებს, რომ ერთად ერთი გარანტია ზავის და მშვიდობიანობის დასაცავად — განიარაღებაში მდგომარეობს. პირიქით, სხვა და სხვა სახელმწიფოთა კბილებამდე შეიარაღება ომის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს.

ვერსალის ხელშკრულებაში მთავრობები საჯაროდ აცხადებენ და პირობას იძლევიან, რომ საერთო განიარაღებას განახორციელებენ. დღემდე ეს პირობა შეუსრულებელია. პირიქით, შეიარაღება იზრდება. ინტერნაციონალი სასტიკად ილაშქრებს ომის წინააღმდეგ და მასების საყოველთაო განიარაღებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებს. აქაც ჩვენ მთელი ჩვენი რწმენით ინტერნაციონალთან ვდგევართ.

მეორე საკითხი, რომელიც, სხვათა შორის ამ, ომის წინააღმდეგ ბრძოლასთან არის დაკავშირებული და რომელიც განსაკუთრებულ სიმწვავით დაისვა წელს ვენის ინტერნაციონალის კონგრესის წინაშე, ეს არის ბრძოლა დემოკრატიისათვის. ამ კითხვის სიმწვავე გამოწვეული იყო გერმანიის მდგომარეობით, სადაც ფაშიზმი დღეს რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. გერმანიაში კი ფაშიზმის გამარჯვება მოასწავებდა მთელს ცენტრალურ ევროპაში დემოკრატიის საფრთხეში ჩაყენებას და ყველგან რეაქციის და შოვინიზმის ზრდასა **და გაღვივებას.**

ამ კითხვაზე მომხსენებლად გამოსული ოტტო ბაუერი პოლიტიკურ კომისიის სახელით აკეთებს განცხადებას, რომლის დედა აზრი შემდეგია: არსებობს ორი გზა სოციალიზმისაკენ, ერთია გზა ძალადობის, დიკტატურის, ტერორის... ამ გზით წავიდა რუსეთი, რომლის მაგალითმა გვიჩვენა, რომ შეიძლება ამ გზითაც საწარმოო ძალთა კაპიტალისტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისაგან ჩამორთმევა და ცდის მოხდენა იმისათვის, რომ კაპიტალისტური ანარქია საზოგადოებრივ ორგანიზაციით შეიცვალოს. მაგრამ, ჩვენ სწორედ რუსეთის მაგალითმა გვიჩვენა, რომ **ამ გზით წასვლა ნიშნავს უაღრეს გაჭირვებას ათეული წლების განმავლობაში,** ნიშნავს უარისთქმას იმ უდიდეს და უძვირფასეს ღირებულებებზე, რომელთაც პიროვნული და სულიერი თავისუფლება წარმოადგენს. ამ მსხვერპლთა პირველი შედეგი ჯერჯერობით რუსეთში სხვა არაფერია გარდა **დიქტატურის სახელმწიფო კაპიტალიზმისა,** რომელმაც მეტად მძიმე და საშიშ ბრძოლების რისკის ქვეშ თანდათანობით დემოკრატიზაცია უნდა განიცადოს, რომ სოციალიზმის არსებას დაემსგავსოს, ვინაიდან სოციალიზმი ნიშნავს ხალხის თვითმართველობას შრომის პროცესში.

ეს გზა ჩვენი გზა არ არის.

ჩვენი გზა არის სრულიად მისი საწინააღმდეგო. ჩვენ გვინდა თავისუფლება, რომელზედაც ჩვენ სოციალიზმის გულისათვის უარს ვერ განვაცხადებთ, რომელიც პირიქით სოციალიზმის აშენებას საფუძვლად უნდა დაედვას. მაგრამ მიუხედავად ამ პრინციპიალურ წინააღმდეგობისა ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის, ჩვენ იმ ილიუზიას არ უნდა მივეცეთ, რომ დემოკრატიული გზის შესაძლებლობა მხოლოდ ჩვენზე იყოს დამოკიდებული. ჩვენ დემოკრატია გვინდა, მაგრამ თუ ბურჟუაზია ჩვენ დემოკრატიულ საშუალებებს ხელიდან გამოგვაცლის და შეეცდება ფაშიზმის საშუალებით მუშათა კლასი შებორკოს, **მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით არა დემოკრატიულ გზას მივმართოთ.** ჩვენ ვაფრთხილებთ ჩვენს მოწინააღმდეგეთ, რომ თავი არ მოიტყუონ: ჩვენ მზად ვიქნებით ეს ბრძოლა მათ მივცეთ. **ჩვენ შევეცდებით, თუ უბედურება მოხდა და კატასტროფა თავზე დაგვატყდა, ეს მთელი ჩვენი ენერგიით გამოვიყენოთ მუშათა კლასის მიერ პოლიტიკურ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის, კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის განხორციელებისათვის.**

ეს შეხედულება სავსებით არ გამოხატავს ჩვენ აზრებს. სიხარულით აღვნიშნავთ, რომ ბაუერი პირველად ასე გარკვეულად ბოლშევიკურ ეკონ. სისტემას, რომელიც საბჭოთა კავშირში ხორციელდება, „დიქტატურის სახელოწიფო კაპიტალიზმს“ უწოდებს. მაგრამ მიუხედავად ამისა მისი სიტყვებიდან მაინც გამოსჭვივის ის მისი ძველი შეხედულება, რომ ბოლშევიზმი სოციალიზმის ერთი მიმართულებაა, რომელიც ჩვენგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ის სულ სხვა გზით მიდის სოციალიზმისაკენ. ჩვენ ამ კითხვაში კარლ კაუცკის ვემხრობით, რომელიც ასეთი გამბედაობით და გონების სიმახვილით ამტკიცებს, რომ პოლიტიკურად და ეკონომიურად ბოლშევიზმი უშავეს რეაქციასწარმოადგენს, და რომ მისი დაცემა ერთად ერთი საშუალებაა იმისათვის, რომ სოციალიზმისათვის ბრძოლას საბჭოთა კავშირში თავისუფალი გზა გაეხსნას.

ისტორია, ჩვენ ღრმად გვწამს, ამ საკითხში მას გაამართლებს. ეს უკვე ცნობილი ფაქტია, რომ ინტერნაციონალის იმ ნაწილმა, რომელიც ბაუერს მისდევს და ბოლშევიკებში გზიდან ამცდარ ძმებს ხედავს, ბაუერთან ერთად დიდი ევოლუცია გაიარა. რაც უფრო აშკარავდება ევროპის სოციალისტურ პარტიებისათვის ბოლშევიზმის ნამდვილი ბუნება, მით უფრო შორდება ინტერნაციონალის ეს ნაწილი თავის ძველ შეხედულებას და სულისკვეთებას.

შენიშვნა: ფრ. ადლერს, კონგრესისთვის დამზადებულ მასალებში, მოთავსებული აქვს საქართველოდან მოსული და «ბრძოლის ხმა»-ში გამოქვეყნებული მასალა, რომელიც ამხ. ირ. წერეთელს ეხება. ამ კითხვაზე შემდეგ ნომერში.

მ. ხუნდაძე

საშური საკითხი

მეთერთმეტე წელი მიდის, რაც მოსკოვის კომუნისტურმა ჯარებმა რამდენიმე თავისი სამშობლო ქვეყნის მოღალატე ქართველ კომუნისტების წინამძღოლობით ცეცხლითა და მახვილით დაიპყრეს დამოუკიდებლობის ფეხზე ახლად წამომდგარი პატარა საქართველო, წაართვეს ერს სუვერენული უფლებები და ხელახლავ მონობის უღელში შეაბეს.

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართველ ერს ბევრი რამ გადახდენია, მის თავზე წისქვილიც კი დაბრუნებულა, მაგრამ თავისუფლების მოტრფიალე პატარა ერი ისე არასოდეს დაგლახებულა, რომ უხეშ დამპყრობ ძალას შერიგებოდეს და თავის განთავისუფლების იმედი სამუდამოდ დაეკარგოს.

მით უმეტეს არ შეურიგდა იგი რუსულ ყაჩაღურ კომუნიზმის მოცქეულ ახალ ბატონებს. დამპყრობელ ძალის შემოჭრის პირველ დღიდანვე აღიმართა ბარიკადა ქართველ ერსა და მის ახალ ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათებს შორის. მას შემდეგ ბრძოლა ერთის წუთითაც კი არ შეწყვეტილა. განსაცვიფრებელ ერთსულოვნებას, გამძლეობას და ნებისყოფას იჩენს ქართველი ერი ამ ბრძოლაში. მას აქვს იმედი და მტკიცედ სწამს, რომ მისი ძლიერი ნებისყოფა შესძლებს დღევანდელი ჯოჯოხეთი შესცვალოს ხვალინდელი თავისუფლების ბედნიერებით.

ულმობელი მტრის წინააღმდეგ შეერთებული ძალებით მოქმედების აუცილებელი საჭიროება იმ თავითვე შეიგნეს მებრძოლი ერის პოლიტიკურმა პარტიებმაც: როგორც იქ — საქართველოში, ისე აქ — უცხოეთში — შესდგა დამოუკიდებლობის კომიტეტები, სადაც წარმოდგენილი იყვნენ ყველა ეროვნული პოლიტიკური პარტიები. დღესაც არსებობს საერთო ეროვნული ფრონტი, ერთი ეროვნული ცენტრი, რომელიც უცხოეთში გადმოხიზნულ ეროვნულ მთავრობასთან ერთად ხელმძღვანელობს ქართველი ერის განმათავისუფლებელ ბრძოლას. ამ ეროვნულ ცენტრში შედიან ყველა დემოკრატიის ნიადაგზე მდგომი ქართული პოლიტიკური პარტიები გარდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ერთი ფრთისა, რომელიც სხვა და სხვა მიზეზების გამო ამ ჟამად ეროვნულ ცენტრში არ შემოდის, მაგრამ საერთო ფრონტის აუცილებელ საჭიროებას კი სცნობს.

მიუხედავად ამისა, ამ პოლიტიკურ პარტიათა შორის სამწუხაროდ არ არსებობს ისეთი მტკიცე ერთსულოვნება, რომელიც ახასიათებს დღევანდელ ქართველ ერს. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენი ეროვნული ცენტრის პრესტიჟი და გავლენა არ დგას იმ სიმაღლეზე, რომელიც შეეფერება მის მაღალ მიზანს.

ჩვენი პოლიტიკური პარტიები არიან ეროვნული ბრძოლის ხელმძღვანელები. მათ პოლიტიკურ ტაქტზე და ხელმძღვანელობის უნარზე ბევრი რამ არის დამოკიდებული; გონიერი, ფრთხილად გაზომილი და წინდახედული ხელმძღვანელობა ბრძოლას გააიოლებს და გამარჯვებას დააჩქარებს; შემცდარი და წინდაუხედავად გადადგმული ნაბიჯი კი პირიქით საქმეს გაართულებს და დამწვარზე დულარეს გადაასხამს. თუ ამ ურყევ ჭეშმარიტებას მხედველობიდან არ გამოუშვებთ,, ადვილად წარმოვიდგენთ, თუ რა ზომ დიდი მნიშვნელობა და ფასი უნდა ქონდეს განმათავისუფლებელ ერთონულ ბრძოლის ხელმძღვანელ პოლიტიკურ პარტიათა შორის სრულ სოლიდარობას მთელ რიგ მთავარი მნიშვნელობის საკითხების შესახებ და მათ შეთანხმებულ თანამშრომლობას. ასეთი სოლიდარობა ერთი გარდაუვალი პირობათაგანია ბრძოლის მოსაგებათ.

მე მხედველობაში მაქვს სოლიდარული და შეთანხმებული მუშაობა მხოლოდ და მხოლოდ იმ ეროვნულ პარტიების, რომლებიც ურყევად დგანან დემოკრატიის ნიადაგზე და უდავოდ აღიარებენ ხალხის სუვერენობას.

ასეთ პარტიათა შორის საერთო ენის გამონახვა მთავარი და გადამჭრელი მნიშვნელობის მქონე საკითხების შესახებ აუცილებელიც არის და შესაძლებელიც, თუ კი გულწრფელად შევეცდებით იმ **მიზეზების** მოსპობას, რომელიც ამას დღემდე ხელს უშლიდა. ნათქვამია, — ჭირი გამომჟღავნებული სჯობიაო, და ნურც ჩვენ ვუღალატებთ ამ ბრძნულ თქმულებას; კარგად ჩავუკვირდეთ დღევანდელ სინამდვილეს და სიმართლეს პირდაპირ შევხედოთ თვალებში, თუ გვინდა რომ ქართველი ერის თავგანწირულმა ბრძოლამ უქმად არ ჩაგვიაროს.

პარტიათა შორის ამა თუ იმ საკითხის შესახებ სრული სოლიდარობა და გულწრფელი თანამშრომლობა უნდა ემყარებოდეს ურთიერთისადმი ნდობაზე. სწორედ ეს მთავარი საფუძველი არის შერყეული. ამ სტრიქონების დამწერს არა ერთხელ ჰქონია გულწრფელი საუბარი სხვა და სხვა პარტიის პასუხისმგებელ მოღვაწეებთან და ყოველთვის ერთი და იგივე შთაბეჭდილება გამოუტანია; — ჩვენს პოლიტიკურ პარტიებში ურთიერთისადმი ნდობა, უფრო მაგრად რომ არ ვსთვათ, თვალსაჩინო ქრონიკულ კრიზისს განიცდის; ერთმანეთის გვეშინია, ერთი მეორეს საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ — ჩემის აზრით უფრო ხშირად კი უსაფუძვლოდ, — სხვა და სხვა ნაირ ფარულ განზრახვებს ვაწერთ, ერთი მეორის გულწრფელობაში იჭვი შეგვაქვს.

სოც.დემოკრატებს ხშირად გვისაყვედურებენ პარტიის ინტერესების ერის ინტერესებზე უფრო მაღლა დაყენებას. ზოგნი ფარულად და ზოგნი აშკარად შიშს გამოსთქვამენ, რომ სოც.დემოკრატიული პარტია საოკუპაციო ხელისუფლების დაცემის მეორე დღესვე, თუ კი მას საამისო ძალა ექნა, საკუთრად დაეპატრონება ხელისუფლებას და არავითარ ანგარიშს არ გაუწევს მის დღევანდელ თანამებრძოლ პარტიებს, მის დღევანდელ პარტნიორებს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საყვედური და შიში სრულიად უსაფუძვლოა, სოც.დემოკრატიულმა პარტიამ მას მაინც უნდა გაუწიოს სათანადო ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიში და ყოველივე იღონოს მის გასაფანტავად ამას მოითხოვს ინტერესი იმ დიდი ეროვნული საქ მის, რომელშიაც ჩაბმულია დღე ჩვენი პარტია მთელი თავისი არსებით და ყველა თავისი ძალებით.

ჩვენ დღეს ვაწარმოებთ არა პარტიულ ბრძოლას არამედ ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას ჩვენ კარგად გვესმის, რომ ერია ის სათავე, რომელიც ასაზრდოებს მის საშოში წარმოშობილ პოლიტიკურ პარტიებს; თუ არ იქნება ერი, არ იქნება არ(საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია. მომავალი აქვს მხოლოდ ისეთ პოლიტიკურ პარტიას რომლის ინტერესები ეგუება და ეთვისება ერის სწორად გაგებულ ინტერესებს.

უნდობლობის ჭია აწუხებს სოც.დემოკრატიულ პარტიასაც. დამკომის პროცესზე ნაციონალ-დემოკ რატიული პარტიის წარმომადგენელს ბ-ნ იშხნელ(საჯაროდ უნდა გაეცხადებიოს, რომ მის პარტიას(თავისი საკუთარი საიდუმლო განზრახვაც ქონდა იგი ფიქრობდა, თუ კი აჯანყება გამარჯვებით და თავდებოდა, ხელისუფლება მას (ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას) ჩაეგდო ხელში საკუთრად. მ(არ ვამტკიცებ, რომ ეს ცნობა, რომელიც კომუნისტურ წყაროებიდან ვიცით, სავსებით სწორია და არ(იმას ვფიქრობ, რომ ნაც.დემოკრატიული პარტი(მთლიანად გაიზიარებდა ამნაირ ფარულ განზრახვას მაგრამ, რომ აჯანყებას გაემარჯვა და ამის მსგავს(ცდა მართლაც მომხდარიყო, გადაჭრით შეიძლებ(ითქვას, რომ ეგ უაღრესად ანტიდემოკრატიული დ(ავანტურისტული ნაბიჯი, საბედისწერო კატასტროფით დათავდებოდა.

არ უნდა დავმალოთ ისიც, რომ ნაც.დემოკრატიულ პარტიის რიგებში მდგომათ ითვლებიან ზოგი ისეთი პირებიც, რომელთაც არც საქართველო(დამოუკიდებლობა ეპიტნავებათ მაინც და მაინც დ(დემოკრატია კი ჭირზე უფრო მეტად ეჯავრებათ ასეთი ელემენტების მიტმასვნა იმ პარტიისადმი, რომელიც თავისი არსებობის ქვაკუთხედათ საქართველოს დამოუკიდებლობას სთვლის და დემოკრატიულ პრინციპებსაც აღიარებს, იმით აიხსნება, რომ საქართველოში ასეთი ელემენტები მეტად სუსტი იყვნენ და მათ არ შეეძლოთ საკუთარი პარტიის მსგავსი რამე შეექმნათ; ხოლო ნაციონალ-დემოკრატიული პარტია იყო, რომელიც სოციალისტურ პარტიებს უპირდაპირდებოდა. ამიტომ მათ არჩიეს დროებით დაემალათ თავისი ანტიდემოკრატიული და ანტიდამოუკიდებლური საიდუმლო ზრახვანი და თავი შეეფარებიათ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის კალთის ქვეშ. ნაციონალ-დემოკრატიულმა პარტიამ ასეთ ელემენტებისაგან გადაჭრით თავი უნდა გაიწმინდოს. მართალია, მას ამით რამდენიმე წევრი მოაკლდება, მაგრამ ეს რიცხობრივი დანაკლისი სავსებით იქნება ანაზღაურებული ღირსებისა და გავლენის გაზრდით.

ყოველივე ზევით ნათქვამი ღირსია იმის, რომ მას სათანადო ანგარიში გაეწიოს და შესაფერი ნაბიჯებიც გადაიდგას, მაგრამ ეს კიდევ არ იკმარებს იმისთვის, რომ პარტიათა შორის არსებული უნდობლობის ელემენტები სავსებით გაქრეს და ამ პარტიებისგან შემდგარი ეროვნული ცენტრის გავლენა ჯეროვან დონემდე ამაღლდეს.

როგორც ზევითაც არის აღნიშნული, დღეს წარმოებულ მკაცრ ეროვნულ ბრძოლას მეთაურობენ ეროვნული მთავრობა და არსებული ეროვნული ცენტრი, შემდგარი დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებისაგან. ამ ბრძოლის მეთაურ ორგანოებს უნდა ქონდეთ არა მარტო სადღ ისო ბრძოლის პროგრამა, — კარგად, სრული სიფრთხილით მოფიქრებული და მიზანთან სავსებით შეწონილი, — არამედ აგრეთვე მათ უნდა ქონდეთ ამთავითვე მიღებული შესაფერი თადარიგი, რომ მტრისაგან გათავისუფლებული ქვეყანა პირველ დღესავე შედგეს ნორმალური განვითარებისა და ეროვნულ წარჩინების გზაზე.

დღევანდელი ანტიეროვნული და არქიბარბაროსული ხელისუფლება საშინელ მემკვიდრეობას გვიმზადებს: ასვრილ-არეული საზღვრები, რადიკალურად გარდასაქმნელი სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის აპარატი, გაღატაკებული ქვეყანა, სრულიად განიავებული ეროვნული დოვლათი, რუსულ პრიმიტიულ კომუნიზმის ყაიდაზე გარდაქმნილი სამეურნეო ურთიერთობა და სხვა ასეთები, აი მკრთალი და ზოგადი სურათი იმ მდგომარეობისა ,რომელშიაც იქნება ჩავარდნილი მტრისაგან განთავისუფლებული ქვეყანა. რომ ამ საშინელ ჯოჯოხეთს თავი დროებით დავახწიოთ და ქვეყანა შედარებით ნორმალურ კალაპოტში ჩავაყენოთ, ამისთვის საჭირო იქნება სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში ჩაებან უკლებლივ ჩვენი ქვეყნის ყველა სასიცოცხლო და ცოტად თუ ბევრად გამოსადეგი ძალები. ამას კი შესძლებს მხოლოდ ისეთი ხელისუფლება, რომელიც აღჭურვილი იქნება ჩვენი ერის ყველა დემოკრატიულ ფენების სრული ნდობით. ასეთი სრულნდობიანი ხელისუფლების მატარებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ის მთავრობა, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიაც წარმოდგენილი იქნებიან ყველა ზემონახსენები ფენები. **დემოკრატიული ეროვნული კერის აშენება და განმტკიცება მთელი ერის შეერთებული ძალებით!** — აი ის დებულება, რომელიც არც ერთის წუთით არ უნდა დავივიწყოთ.

დემოკრატიის ნიადაგზე მტკიცედ და ურყევად მდგომ პარტიებს არავითარ შემთხვევაში არ ეპატიებათ, რომ მათ ქვეყნის განთავისუფლების პირველ დღიდანვე მძაფრი პარტიული ბრძოლა გააჩაღონ მთელ რიგ იმ დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საკითხების ირგვლივ, რომელთა ამა თუ იმ სახით გადაჭრაზე და მოგვარებაზე იქნება დამოკიდებული ერის დამოუკიდებლობის ყოფნა-არ-ყოფნის საკითხი. ასეთი მნიშვნელობის საკითხებზე, რომლებიც ამ თავითვე უნდა იქნეს გათვალისწინებული და გამოყოფილი, ჩვენ მიგვითითა ზოგადად ამ რამდენიმე თვის წინად საქართველოს წარმომადგენელმა გერმანიაში **ვლ. ახმეტელმა** თავის მიმართვაში ემიგრაციისადმი. მიმართა დაბეჭდილი იყო ცალკე ფურცლებით და დაეგზავნა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს. ამ მიმართვის პატივცემულ ავტორის აზრით ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე „წინასწარ გეგმათა თეორიული დამუშავება და პრაქტიკულად შექმნა უნდა მინდოს საგანგებო ორგანოს, ერთ კერძო ცენტრალურს, სამეცნიერო საზოგადოებრივ ორგანიზაციას ჩვენი ემიგრაციის ცენტრში,— განურჩევლად მიმართულებისა, — პარიზში". შემდეგ ეს ცენტრი „თავის შრომას მიაწვდის საზოგადოებას ბეჭდვითი, ლექციებისა, საუბრებისა და მოხსენებების საშუალებით". ყოველივე ეს კარგი და უდავოდ მოსაწონია, მაგრამ საკმაო მნიშვნელობა არც იმას იქმნება, თუ ეგ დამუშავებული გეგმები არ იქნება მოწონებული და სახელმძღვანელოდ მიღებული ჩვენი ეროვნული მთავრობის და ეროვნულ ცენტრში შემავალ ყველა პოლიტიკურ პარტიების მიერ. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგებლობის აპარატის მოწყობის და მისი ეკონომიური აღდგენის პროგრამა იქნება დამუშავებული ჩვენი ეროვნული მთავრობის და ეროვნული ცენტრის უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით. ეგ პროგრამა, რომელიც — თავის თავად იგულისხმება — კომპრომისული იქნება, მისაღები უნდა იყოს ჩვენი ერის ყველა დემოკრატიული ფენებისათვის.

ერმა ამ თავითვე უნდა იცოდეს თუ რა სისტემაზე იქნება აგებული მისი ქვეყნის თავდაცვის საქმე, რა ზომები იქნება მიღებული მისი საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებისათვის და რა პრინციპებზე იქნება აგებული მისი ეროვნულ-კულტურული და სამეურნეო ცხოვრება.

კერძოდ უნდა იცოდენ: —

გლეხობამ — როგორ იქნება მოგვარებული დღევანდელი მოძალადე ხელისუფლების მიერ სავსებით აწეწილ-დაწეწილი მიწის საკითხი და რა ღონის-ძიებას მიმართავენ მომავალი წრეები სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის აღსადგენად და მის ფეხზე წამოსაყენებლად;

მუშათა კლასმა — რა პრინციპები დაედება საფუძვლად მუშათა კანონმდებლობას, რომ საკმაოდ დაცული იქნეს შრომის ინტერესები;

ვაჭარ-მრეწველთა წრეებმა — როგორი იქნება მათი საქმიანობის უფლებრივი მდგომარეობა.

საზოგადოთ ჩვენი ერის ყველა საქმიანმა საზოგადოებრივმა ფენებმა ამ თავითვე უნდა იგრძნონ და დარწმუნდენ, რომ განთავისუფლებულ საქართველოს ხელისუფლება თვითეულ მათგანისათვის იქნება არა უმიზეზოდ ამთვალისწუნებელი დედინაცვალი, არამედ მოსიყვარულე მკვიდრი დედა, რომელიც სრული მიუდგომლობით დაუფასებს ყველასი პატიოსან და მუყაით შრომას, მიმართულს საზოგადოებრივ ცხოვრების წარჩინება- გაუმჯობესებისაკენ.

ზევით ნაგულისხმევმა პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს ყველა ჩამოთვლილი საკითხები. თქმა არ უნდა რომ მასში გამოძახილს ვერ პოებს მრავალი დეტალი, მაგრამ მოქმედების მთავარი პრინციპების და მუხლების აღნიშვნა და მათ ირგვლივ ყველა პოლიტიკურ პარტიების შეთანხმება სათანამშრომლოდ მეტად დიდი საქმე იქნება.

ასეთი პროგრამის პროექტი აქ — ემიგრაციაში — შემუშავებული, კარგად მოფიქრებული და ჩვენი ქვეყნის დღევანდელ სინამდვილესთან საფუძვლიანად შეფარდებული, უნდა გადაეგზავნოს საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს შესასწორებლად და საბოლოო დასტურის დასაღებად. ამის შემდეგ იგი უნდა გამოცხადდეს ეროვნულ მთავრობისა და ეროვნულ ცენტრის პროგრამად, გამოქვეყნდეს საჯაროდ და ყოველივე ზომები იქნეს მიღებული მისი ფართოდ გასავრცელებლად, როგორც შიგ — საქართველოში, ისე საქართველოს გარეშე — უცხოეთში. ასეთი ნაბიჯის გადადგმა ერთი ასად გაზრდის განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურ ეროვნულ მთავრობის და ეროვნულ ცენტრის პრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტიჟს და გავლენას, მხნეობას და ენერგიას შემატებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ ერს და ხელს შეუწყობს პარტიათა შორის უნდობლობის ამოწურვას.

მას ექნება მეორე დიდი მნიშვნელობაც: ასეთი მკაფიო და დემოკრატიული პროგრამა შეგვმატებს მთელი მსოფლიოს დემოკრატიის თანაგრძნობის გაზრდას და მის მორალურ დახმარებას.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიმაჩნია აქვე განვმარტო, რომ ზევით გათვალისწინებული გეგმა და მის ირგვლივ დემოკრატიული პარტიების შეთანხმება — რა თქმა უნდა— არავითარ შემრხვევაში არ ნიშნავს არც პარტიების გაუქმებას და არც პარტიულ პროგრამების სამუდამოდ უკუგდებას. საზოგადოების კლასებად დაყოფა და ამ ნიადაგზე პარტიების წარმოშობა უსაქმოთა გამოგონილი ლეგენდა არ არის, რომ მისი გაუქმება და დავიწყებას მიცემა ვინმეს სურვილზეიყოს დამოკიდებული. ნაგულისხმევი პროგრამა არის აღდგენის პროგრამა და იგი, როგორც ეგ ზევითაც ნათლად არის ნათქვამი, გულისხმობს დროებით შეთანხმებას. ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როდესაც ყველა პოლიტიკური პარტიები, გარდა უპასუხისმგებლო და ავანტურისტულისა, დიდ დათმობებზე მიდიან და ყოველივეს ღონობენ, რომ შეერთებული და შეთანხმებული ძალებითი უწამლონ ერის საშიშ სატკივრებს. ამისი თვალსაჩინო მაგალითები ჩვენ საკმაოდ ვიცით: ფაშისტურ-კომუნისტურ საფრთხის წინაშე მდგომთ გერმანიისა და ავსტრიის არქიბურჟუაზიულ მთავრობებს გადაჭრით მხარს უჭერენ მათი სოციალ-დემოკრატიული პარტიები. ამისათანა მაგალითებს მრავალ სხვა ქვეყნებში ქონდა და ეხლაც აქვს ადგილი.

ახლად განთავისუფლებულ საქართველოში მდგომარეობა გაცილებით უარესი იქნება, ვიდრე დღევანდელ გერმანიის და ავსტრიის მდგომარეობა; ამიტომ მისი პოლიტიკურ პარტიების თანამშრომლობაც სახელმწიფოებრივ მშენებლობის და დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში უფრო ხანგრძლივი და მჭიდრო უნდა დარჩეს.

საამისი პროგრამის შედგენა და მისი მთელი მებრძოლი დემოკრატიის პროგრამად გამოცხადება, ვფიქრობ, რომ მომწიფებული და საშური საკითხია. მას მე შევეხე ზოგადათ, უკეთ რომ ვსთქვათ, კითხვა დავაყენე და ამ წერილის მიზანიც ეს იყო.

ი. — იძე

მოწყაფის დღიურიდან

(ვუძღვნი აგვისტოში დაღუპულ ახალგაზრდობას)

ის დღეც ჩვეულებრივად გათენდა. დილის უსუსტესი სინათლე ქურდივით ეპარებოდა ცვარ-ნამით გაოფლიანებულ მიწას. საკვირველია, ღმერთმანი, ჯერ მზე არ ამოსულა და სინათლე თანდათან მატულობს. ის იმალება ალბად. უკან მოყვება მის წინამორბედს დილის გარიჟრაჟს. მგონი იმიტომ რომ ის ულამაზესია. დიახ, ულამაზესი, როცა ოქროსფერ მძივებით მოქსოვილ შტოებში ახვევს ქვეყანას, მაგრამ თუ ასეთია, რატომ ერთიანად არ გამოჩნდება? რატომ ერთიანად არ დაანახვებს მის ალისფერ მხურვალე სხეულს? რატომ აგვიანებს ღამის მიერ გაციებულ დედამიწის გათბობას? რატომ? — იგი გუშინ საღამოს დაემშვიდობა ქვეყანას და საკმარისი სითბოც დაუტევა. იგი უტურფესია, უსაყვარლესი ყველასათვის. მის სხივთა სიცილი ამწვანებს ბუნებას, აფერადებს ადამიანის ცხოვრებას, არჩენს დაავადებულს, ხოლო ყოველივე ასეთი რამ მიუწვდომელია ადამიანისათვის.

ასეთი პასუხით ვისტუმრებდი დილის სილამაზით აღძრულ კითხვებს და ნელი ნაბიჯით სკოლისაკენ მიმავალ განიერ ქუჩას ვკეცავდი.

უცებ სასჯელ-მოხდილ კაცივით თავი მაღლა ავწიე, უკვე ჩემი კითხვის საგანი ამოსული იყო; ის ცისკიდურზე ოქროს თასმებით მოქსოვილ სავარძელიდან უხვად აფრქვევდა სინათლეს და სხივთა ჩანჩქერში ხვევდა ქუთაისს.

ჰო, ქუთაისი... რამდენი რამ არ გადაუტანია ამ ისტორიულ ქალაქს; რამდენი რამ არ შეხვედრია : მონგოლები, არაბები, თემურ-ლენგები, მურვან-ყრუნი, და დასასრულს შავ და წითელ სამოსში გახვეული რუსეთის კლერიკალები, სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა მიზეზით, სისხლში რწყავდენ ხის შტოებში გაშენებულ საქართველოს. მაშინ ხალხი, ქართველი დედა პატარა ბავშვებით, კლდეებზე და გამოქვაბულში იხიზნებოდენ. დიახ, იმავე კლდეებზე გადარჩა ქართული სული...

თითქო გამოვფხიზლდი, ერთი შეშინებულივით აქეთ-იქით მივიხედე; დავრწმუნდი რომ არავინ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რომ ყოფილიყო, რას გამიგებდა? მე ხომ არ ვლაპარაკობდი? კიდევ კარგი! აზროვნება შეიძლება ისე, რომ ენა არ გაანძრიო! არ დაილაპარაკო! მაგრამ ვშიშობ, გონებასაც ვინმე წვრილ-ფეხა აგენტი რომ ჰყავდეს? არა, არ შეიძლება! ჩემი გონება მე მეკუთვნის, მის ლაპარაკს ვერავინ გაიგებს... ამ იმედით შევაღე სკოლის კარები...

ჭადრის შტოებით დაჩრდილული ეზო მზის სხივებს აეჭრელებია. მოწაფენი ერთი მეორეში ირეოდენ. უეცრად ზარმა დააწკრიალა. მოწაფეებმა ერთიანად მიაშურეს თავიანთ განყოფილებებს; ეზოში შესწყდა ხმაური. ერთ კუთხეში თვალი მოვკარი ორ ამხანაგს, რომლებიც ნელი ნაბიჯით მიდიოდენ სკოლის კარებისაკენ. მე მათ ჩვეულებრივ მივესალმე. ისინი ჩემი გულითადი ამხანაგები იყვნენ და დღეს რაღაც უკმაყოფილება ეტყობოდათ.

— გაკვეთილის „ჩასტრახვა“ ხომ არ გინდათ? — გავეხუმრე ჩვეულებრივად.

— ნეტავი შენ... ხუმრობის ხასიათზე ხარ!

ჩემს ღიმილს ცივად უპასუხეს.

— რა იყო? ცუდი ამბავი ხომ არაფერია? — შევეკითხე გაკვირვებული.

— მეტი რა უნდა იყოს! დღეს თუ ხვალ ყველას დაგვაპატიმრებენ. ყველანი გაცემული ვართ. აბა, შენ იცი, გიორგი, როგორ იქნები. იცოდე, ერთი სიტყვა ამხანაგებზე...!

ამ სიტყვებზე შეაჩერა გამგის დაძახილმა და გაკვეთილზე შევედით.

დაფაზე დაწერილი მათემატიკის ფორმულები ისე მეჩვენებოდა, თითქო თეთრად ჩაცმულ ფერიებს ფერხული გაებათ. მე დამნაშავესავით დავყურებდი მაგიდას და კალმით ნერვიულად ვჩიჩქნიდი მის ზედაპირს.

ნეტავ, რა უნდა მიქნან! დამაპატიმრებენ, მომაცილებენ მეგობრებს, სკოლას, დედას, ძმებს, ნათესავებს; სადმე ცივ სარდაფში გამყოფებენ; მერე რად? იმიტომ რომ გიყვარს სიმართლე? იმიტომ, რომ ემსახურები მას, რაც გრწამს? სანამ უნდა იყოს ეს ბოროტება ქვეყანაზე? რატომ უნდა გართმევდენ თვალის სინათლეს, რომ ამით თეთრი შავად მოგაჩვენონ?

ამ კითხვებით თავი მიბრუოდა და დაფაზე მათემატიკის ფორმულები ფერხულს უვლიდენ...

ამ მდგომარეობას მალე საზღვარი დაედო. მესამე გაკვეთილი დაიწყო. ისტორიის მასწავლებელი პორთფელით ხელში ჩვეულებრივად შემოვიდა. წესრიგისათვის მაგიდას სამჯერ ხელი დაარტყა, თავისი ღირსება—პორთფელი იქვე დააგდო და დაიწყო გვარების ამოკითხვა.

როცა გაათავა კათედრას სული გადაუბერა, ნიკაპი გვერდზე გააქანა და შეუდგა გაკვეთილის გამოკითხვას.

— მითხარი გაკვეთილი შენ, გოცირიძის ასულო! — და ნიშნად ფანქრის წვერი მიაშვირა.

— მე, ბატონო?... ამ წუთში!

ამ სიტყვებით წამოდგა ფეხზე ფერ-მკრთალი გოგონა და დაიწყო გაკვეთილი „გლეხთა მდგომარეობა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ“...

— მე მაგას არ გეკითხები — გაბრაზებით წამოიძახა მასწავლებელმა და პორთფელი განმეორებით დაარტყა კათედრას...

— მომიყევი „კომკავშირის დირეკტივები“!

სიგამხდრით ამოშავებულმა მოწაფის თვალებმა გაკვირვებით შეხედა თავხედ მასწავლებელს...

— არ ვიცი, ბატონო, მე კომკავშირელი არა ვარ. — წყნარი ხმით უპასუხა ასულმა.

— შენ მომიყევი! — გადავიდა მეორე მოწაფეზე. — მე ამ წუთში! — და ამაყად წამოდგა სკამიდან.

მოწაფეს ლაპარაკი დაწყებული არ ქონდა, რომ ამ დროს კარი გაიღო და გამგემ შეშინებული თვალებით გამომიძახა. მეც ფეხ-აკრეფით გავყევი. მაგრამ გამგის ნაცვლად მოწაფეების დაღონებული თვალები შემომეგება.

უკვე ვიგრძენი რაში იყო საქმე. მეც მათში უხმოდ გავერიე და ორი ჩეკისტის თანხლებით, გავუდექით გზას.

ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, როცა გაუზრიანთა შენობაში გველის ტანივით დაგრეხილ კიბეზე მე და ერთი მოხუცი გლეხი ორ ჩეკისტს მივყავდით. რამდენი ძირს მივიწევდით, სინათლე თანდათან კლებულობდა. სისველის და სინესტის სული ერთი მეორეში ირეოდა. მივაწიეთ კიბის ქვედა საფეხურს. ერთმა ჩეკისტმა გლეხს ჩოხაზე ღვედი შემოხსნა, შემდეგ ქალამნის თასმები ამოაძრო, მძარცველივით ჯიბეები გაუშინჯა, შემდეგ ერთი მაგრად გაარტყა და იქვე ნესტიან სარდაფში შეაგდო. საწყალი მოხუცი აბღავლდა, აქვითინდა. მაგრამ ვინ იყო მისი შემბრალე!

სიბერით დანაოჭებული სახე და აცრემლებული თვალები შველას ითხოვდა, მაგრამ მისი თხოვნა რკინის-კარების ჩარაზვით მასთან დაამწყვდიეს...

გ. ყიფიანი

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსიზმის საკითხები

(გაგრძელება)

5. კლასი და წოდება

თავდაპირველად კლასსა და წოდებას შორის არავითარ განსხვავებას არა ხედავდენ. კ. მარქსი თავის „კრიტიკ დარ ჰეგელშე ფილოსოფიი“ — ამ ორ მცნებას ერთმანეთს არ აშორებდა და არ ანსხვავებდა. შემდეგ, „ელენდ დერ ფილოსოფიი“ა-ში მარქსი უკვე გარკვევითა და ნათლად ამჩნევს კლასისა და წოდების მცნებათა შორის სხვადასხვაობას.

გამოდის რა საზოგადოებრივი შრომიდან ანუ სამეურნეო პროცესიდან, თითოული კლასი პირველად ყოვლისა, სოციალური მოვლენაა, „საზოგადოებრივი კლასია“ და ერთი კლასის მეორე კლასისადმი დამოკიდებულება და აგრეთვე სხვა და სხვა კლასის წევრთა ურთიერთდამი დამოკიდებულება, (მაგალითად, მუშისა მექარხნესთან, გლეხისა მემამულესთან), საერთოდ თუ განვიხილავთ, არის საზოგადოებრივი (და არა სახელმწიფოებრივი) დამოკიდებულება. და ვინაიდან სახელმწიფო საზოგადოებრივ კლასთა ქმნილებას, როგორც სახელმწიფო წესწყობილებას, ადასტურებს, და თითოულ კლასს განსაკუთრებულ პოლიტიკურ უფლებებს ანიჭებს და მოვალეობებს აკისრებს, ცხადია, რომ ამგვარად, სახელმწიფოებრივ წესწყობილებასა ქმნის და მაშასადამე, კლასიდან „წოდება“ გამოდის.

ამის მიხედვით, მარქსი სამართლიანად ამბობდა: „მუშათა კლასის განთავისუფლების პირობა არის ყოველი კლასის მოსპობა, ისე როგორც მესამე წოდების, ბურჟუაზიული წესწყობილების დამყარების პირობა იყო ყველა წოდების მოსპობა“-ო.

და ენგელსი დასძენს: —

„წოდებანი აქ, ისტორიული საზრისით, არიან ფეოდალური სახელმწიფოს წოდებანი, წოდებანი გარკვეული და განსაზღვრული უპირატესობებით. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ მოსპო წოდებანი მათ უპირატესობებთან ერთად. ბურჟუაზიული საზოგადოება იცნობს მხოლოდ კლასებს. ამიტომ სავსებით ისტორიის საწინააღმდეგოა, როცა პროლეტარიატს „მეოთხე წოდებას“ ეძახიან“-ო.

მარქსისათვის სრულიად მიუღებელი იყო და დასცინოდა ლასალის თქმას მუშათა, მეოთხე წოდების შესახებ.

ამგვარადვე უმართებულოა, როდესაც ერთი მეორეში ურევენ ორ მცნებას: — „მუშათა კლასი“ და „პროლეტარიატი“. ამ ორ მცნებას შორის კი განსხვავებაა, და ეს არევა წარმოდგება იმ ძველი შედულებისაგან, რომლითაც კლასთა ფენებში ხედავდენ საზოგადოების დანაწილებას ქონებისა ანუ მფლობელობის მიხედვით, და ამგვარად, საზოგადოებაში მხოლოდ ორ დიდ კლასს ანსხვავებდენ: — ქონებიანი და უქონებო კლასი, პროლეტარიატი. (პროლეტარი — ქართული სიტყვით — ამბოკარი). მაგრამ მარქსისტული მცნება პროლეტარიატის შესახებ არ იფარება მცნებით მუშათა კლასის შესახებ.

პროლეტარიატს ეკუთვნის საერთოდ, უქონებო, აგრეთვე გაპარტახებული თავადიც ან ყოფილი მექარხნე, რომელიც „კბილით სულს მიათრევს“; მასვე ეკუთვნის უქონებო, ხანდახან მუშაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი პატარა მოხელე და მოსამსახურე, ისე როგორც შემოსავალს მოკლებული ხელოვანი და მწერალი, — ეს ეგრედ წოდებული „ინტელიგენცია“ ანუ „საყელოიანი“ პროლეტარიატი. მაგრამ იმიტომ რომ მათ ქონება არ გააჩნიათ, ისინი სრულიადაც არ არიან ამავე დროს მუშათა კლასის წევრები.

მეორე მხრივ, მაგალითად, მაღალხარისხოვანი ქარხნის მუშა, რომელსაც დიდი ქირა აქვს და შეიძლება კიდევ კოპწია სახლი ბაღითურთ, ოღონდაც რომ მუშათა კლასს ეკუთვნის და არა პროლეტარიატს.

6. მუშათა კლასის განვითარების საფეხურები

მეურნულ დამოკიდებულებათა ცვლასთან და განვითარებასთან ერთად იცვლებიან აგრეთვე კლასთა პირობანი და მათიურთიერთდამი დამოკიდებულებანი: — თითოული კლასი განვითარების სხვა და სხვა საფეხურს გადის.

ინდუსტრიული მუშათა კლასი, როცა იგი მოდერნულ სახელმწიფოებში წარმოიშვა, არ წარმოადგენდა ჯერ კიდევ სხვა კლასთა ფენების მოწინააღმდეგე, ერთნაირ მიზნისაკენ მსრბოლ კლასს.

თუმცა დასაწყისიდანვე მუშები აწარმოებდენ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მაგრამ მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა იყო ყველგან ადგილობრივი, დაქსაქსული, ერთი მეორის წინააღმდეგ მიმართული ან ხელის შემშლელი, ხან ერთი, ხან მეორე მექარხნის წინააღმდეგ მიმართული, და იშვიათ შემთხვევაში წარმოების რომელიმე დარგში მთლიანი. ეს ბრძოლა ხშირად გამოიხატებოდა მანქანების მტვრევაში, დამზადებული საქონელის განადგურებაში ან ქარხანის გადაწვაში.

ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად იზრდება მუშათა კლასიც. დიდდებიან და ფართოვდებიან ქარხნები; მუშები ერთად მრავლად იყრიან თავს და ცნობილ სამრეწველო ადგილებში ჯგუფდებიან. აქ იწყება ერთმანეთთან დაახლოვება, საერთო ჭირვარამის გაზიარება და საერთო ინტერესების შეგნება, — და ამის შედეგად გაერთიანება. ერთი რომელიმე ქარხანის მუშების შეკავშირება გადადის ამავე სამრეწველო დარგის მუშათა შეკავშირებაზე და ბოლოს მთელი სახელმწიფოს სივრცეზე მრეწველობის ყველა დარგის მუშათა გაერთიანებაზე, რაც შემდეგ მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალით სრულდება.

პირველად და კარგა ხნის განმავლობაში, თავისი ინტერესების დაცვას მუშები სხვა, არა-მუშურ პარტიებს ანდობდენ, მაგრამ კლასობრივი ინტერესების შეგნების განვითარების შედეგად, მუშები, რათა ნაყოფიერი ყოფილიყო მათი ბრძოლა, საკუთარ პარტიებს აარსებენ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას ღებულობენ.

ამგვარად, მუშათა კლასი, როგორც სხვა კლასებიც, განვითარების ნაყოფია, რომელმაც თანდათანობით სხვა და სხვა საფეხური განვლო, სადაც თითოულს თავისი ნიშანდობლივი, დამახასიათებელი თვისებები აქვს.

7. კლასი და პარტია

ის მოვლენა რომ კლასი განვითარების უკანასკნელ საფეხურზე პარტიას აშენებს და პოლიტიკურ საშუალებებით თავის მოთხოვნილებათა განხორციელებისათვის იბრძვის, სრულიად არ ამბობს იმას, რომ კლასი და პარტია ერთი და იგივე მცნებაა; არც იმას, რომ კლასი პირდაპირ პარტიაში შედის.

კლასი არის მეურნეობის განვითარებიდან გამოსული შენობა; პარტია კი — პოლიტიკურ მიზანთა ორგანიზაცია კლასისა ან კლასებისა, მაგრამ არა მთელისა, რადგან კლასის ნაწილები მის გარედ რჩებიან, ან სხვა კლასის ნაწილები მას ეკედლებიან.

პარტიას აქვს წამოყენებული არა მარტო სამეურნეო ინტერესთა მოთხოვნილებანი, არამედ პოლიტიკური და სხვა შეხედულებანი. ამიტომ ხშირადაა, რომ რომელიმე კლასის წევრი მეორე კლასს უერთდება ამა თუ იმ მიზნისა გამო (პოლიტიკური, ფილოსოფიური, სარწმუნოებრივი, ზნეობრივი, ეროვნული და სხ.). არ არსებობს ისეთი პარტია, რომელიც წმინდა კლასობრივი იყოს. არ არის ასეთი არც ერთი სოციალისტური პარტია. ყველა პარტიას ყავს წევრებად სხვა და სხვა კლასის წევრებიც. ამას ის ნაყოფი მოაქვს, რომ არც ერთი პარტია არ არის უზრუნველყოფილი შინაურ განსხვავებათა და დავისაგან. ამას თან ემატება ის მოვლენაც, რომ ერთი და იმავე კლასის წევრებს ყოველთვის არა აქვთ ერთნაირი ინტერესები, და ამიტომ თავის პოლიტიკურ ნაბიჯებში ერთნაირ გავლენას არ განიცდიან. კლასობრივი ინტერესები და მოტივები არავითარ შემთხვევაში არ არიან მხოლოდ ერთადერთი გადამწყვეტი. დღევანდელი ადამიანი ეკუთვნის და წევრია არა მარტო კლასისა, არამედ სახელმწიფოსიც, ერისა, წევრია ხელობის, რელიგიის და სხვა საზოგადოებისა. და ამგვარად არა ნაკლებ განიცდის გავლენას ყველა ამ ინტერესებიდან, — და ამას გარდა, პიროვნებას აქვს აგრეთვე თავისი საკუთარი პირადი ინტერესებიც.

ბ. ვარდანი

ჩვენი ქვეყნის ფოტო-სურათები

კულტურა და ყოფა-ცხოვრება

2

მოქალაქენი „კეპკებში“ და „კოსოვოროტკა“-ში „ბლუზებში“ არიან. მოსამსახურენი პორტფელებით თეატრებში და სინემოებშიც დადიან. ყოველ კომუნისტს და კომკავშირელს პორტფელი უჭირავს ხელში.

სპორტს დიდი ყურადღება ექცევა და არის მოწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყობილი მრავალი სასპორტო მოედნები და კლუბები (ფეხ-ბურთი, ხელ-ბურთი, წყლის სპორტი, ჭადრაკი, ტირი, ბოქსი, და სხვა და სხვა ტანსავარჯიშოები). არის შექმნილი შტაბები და მწვრთნელები (სპორტის კადრები).

ვაჟები და ქალები უქუდოთ დადიან, ვაჟებს და ქალებს ერთნაირად აქვთ შეკრეჭილი თმები და ერთნაირი დეკოლტიანი პერანგები აცვიათ. ქალები მოკლე კაბებში და უწინდოთ (უჩულქოდ), ხოლო ვაჟები ტრუსიკებში ან მოკლე შარვლებში მუხლებამდე გამაშებით.

სიტყვა „ჩასტნიკ“ (კერძო მესაკუთრე) ყველა ლანძღვა-გინებაზე უარესი ტერმინია. „ჩასტნიკზე“ დაბალი და საზიზღარი არაფერი არ შეიძლება იქნეს საბჭოების „მორალით“.

სიტყვა „თხოვნა“ ან თხოვნით მიმართვა სასამართლოსადმი ან თანამდებობის პირთან აკრძალულია; თხოვნის მაგიერ შემოღებულია სიტყვა განცხადება და „ცნობა“.

„მმაჩი“ (მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერილობანი) ბოლშევიკებმა შემოსვლისათანავე შემოიღეს. ადგილზე მმაჩებს განაგებენ სპეციალური მოხელენი, რომელთაც არქივარიუსები ეწოდებათ. მაჩის მოვალეობაში შედის რეგისტრაცია: დაბადების, ქორწინების, გაყრის და მოკვდაობის. ყოველ სავაჭრო-სამრეწველო და კულტურულ დაწესებულებაში საბჭოთა ბუხალტერიას შემოღებული აქვს ახალი ანგარიში, რომლის მსგავსი არც ერთ სახელმწიფოში და არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა. ეს არის „ალიმენჩიკების“ ანგარიში. საბჭოთა სამართლით, გაყრილ ცოლ-ქმართა შორის, ვაჟი დედისაა, ხოლო ასული მამის. გაყრილ ქმრის ჯამაგირის ერთ მესამედს ღებულობს ცოლი და ეს თანხა დანიშნული არის ბავშების გასაზრდელად; დღეს ყველა საბჭოთა დაწესებულებაში ჯამაგირების სია დგება ორად. ერთი სიით ურიგდება ჯამაგირი მას, ვინც ნამდვილად მუშაობს; ხოლო მეორეთი, „ალიმენჩიკებს“ და პირად შემადგენლობაზე გაცემულ თანხების ერთ მეხუთედს ყველგან „ალიმენჩიკებზე“ გაცემული თანხა შეადგენს.

ძველი სასაფლაოები ტფილისში დახურულია; ეხლა მიცვალებულებს სომხების ახალ სასაფლაოზე მარხავენ. ამ სასაფლაოზე მაჰმადიანებს, მართლმადიდებლებს, პროტესტანტებს, გრიგორიანებს და სხვა სჯულის მიცვალებულებს ერთად მარხავენ.

ქართული ენა და ქართულად საქმის წარმოება სავალდებულოა ქართულ დაწესებულებებისათვის, ხოლო ამიერ-კავკასიის დაწესებულებათათვის, რომელნიც საქართველოს ტერიტორიაზეა მოთავსებული — რუსული ენაა. (საქართველოს ტერიტორიაზე არა ქართული დაწესებულებები უფრო მეტია, ვინემ ქართული).

მიმოწერა მეზობელ რესპუბლიკებთან რუსულ ენაზე სწარმოებს; თუმცა უკრაინელები ყველგან უკრაინულ ენაზე აწარმოებენ მიმოწერას და აგრეთვე თავიანთ ნაწარმოებ ფაბრიკატებზე უკრაინული წარწერებია მხოლოდ.

ქალაქებში ეტლები ცოტა დარჩა. ცხენები ძალზე გამხდრები არიან. ეტლებს ბორბლებში ისრები აკლიათ. ეტლები მსუბუქ არტელის ხელშია გადასული.

ავტომობილებიც დაძველებულია და დარემონტებული. ყოველ ავტომობილს ყავს შოფერი თანაშემწე და მოწაფე. ავტომობილი გზაზე ჩერდება, შოფერი-თანაშემწე გაწვება ავტომობილის ქვეშ მოტორის ასამუშავებლად ან შინები და კამერის გამოსაცვლელად.

სახლები ექვს თვალზე მეტი, 1928 წელში იქნა ჩამორთმეული და გადაცემული საბინო კოოპ. ამხა.-სათვის, ამ სახლების შემოსავალ-გასავალს განაგებენ სპეციალური მოხელენი — მოანგარიშენი.

ქალაქებში ყველგან მოსახლეობის მეათედი ნაწილი მაინც, ყოფილ სავაჭრო - სამრეწველო დარბებში (რასტვორებში) სცხოვრობს.

კერძო ვაჭრობა გამქრალია.

ვაჭრობა არც სახელმწიფო და არც კოოპერატიულ მაღაზიებში არ არის. მოსახლეობა წიგნაკებით ღებულობს პურს და სხვა საკვებ სანოვაგეს. ფეხსაცმელი და ტანსაცმელი ორდერებით რიგდება, ორდერების გაცემა ლატარიის წესით, გათამაშებით ხდება. კვერცხი, რძე, კარაქი და ბრინჯის გაცემა ექიმის რეცეპტით შეიძლება მხოლოდ.

ამ მცირე ხნის განმავლობაში, სულ 10 წლის მანძილზე, სხვა და სხვა თაობებია არიან შექმნილი:

1). პატრიარქალურ ოჯახებში, ხანში შესულებს გატეხილი აქვთ გული რევოლუციით და ძველი, მშვიდობიანი, მყუდრო ცხოვრების მოტრფიალენი არიან. დავაჟკაცებულნი, ძველი, მყუდრო, მეფის „ნეველური“ ცხოვრების წინააღმდეგი არიან, ხოლო მოვლენების სწრაფ-ხელოვნურ ცვალებადობით და მისდამი შეუწყვეტელი წინააღმდეგობისა გამო დაღლილი არიან და მომხრენი შესვენების. მესამე თაობა — ახალგაზრდობა გატაცებულია გრანდიოზული ტემპებით, ახალ-ახალ გადატრიალებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით. ამ თაობას მოუსვენრობის იმპულსი ამოძრავებს.

2). ომის დროის შემდგომ ოჯახებში მაგრადა გამჯდარია ეროვნული მოტივები, შრომისადმი დიდი პატივისცემა და სიყვარული. ბოლშევიკების შემოსვლით ეს ოჯახები ყველაზე უფრო უსამართლოდ დაზიანდენ.

3). დახოცილების, გადასახლებულების, დატუსაღებულების, გაქცეულების და გაბუტულების ოჯახებიდან წარმოშობილი ახალგაზრდობა ამბობს: — „თუნდაც პირველი მე მოვკვდე, ოღონდ კი რამე გაკეთდეს, დაიწყოსო“.

3

საბჭოთა ფინანსები

სამხედრო კომუნიზმის ხანაში (1918-21) სამოქალაქო ომების დამთავრებამდი, უმთავრესი და უძლიერესი სამხედრო და მომარაგების სახალხო კომისარიატები იყვნენ. იმ-დროინდელ ხარკს „პროდრაზვიორსტკა“-ს ეს კომისარიატები აწესებდენ და კრეფდენ.

საფინანსო სახალხო კომისარიატი „დენზნაკ“-ების ბეჭდვის უბრალო აღრიცხვასაც არ აწარმოებდა და ფინსახკომის ფუნქციები და კომპეტენციები იყო დაყვანილი ნოლთან.

1921 წ. დასრულდა სამოქალაქო ომები და მასთან მოხმადებთი კომუნიზმიც.

1921 წლიდან იწყება ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც პირველ პლანზე აყენებს საფინანსო კომისარიატის საჭიროებას. კერძო საკუთრების რეგულიატორად შემოდის სამეურნეო და სავაჭრო სამართლის ნორმები — ნებადართულია კერძო საკუთრება ათიათას ოქროს მანეთის რაოდენობით დ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირველ ნახევარში (1921-23 წ.) ფასეულობის საზომად შემოდის საქონლის მანეთი (1913-14 წ. ინდექსით). ეს ხანა სოფლის გამდიდრების ხანადაა ცნობილი საბჭოთა სახალხო მეურნეობის ისტორიაში. არა ჩვეულებრივი დიდი მოთხოვნილებაა სოფლის პროდუქტებზე და ხდება ქალაქიდან სოფელში ქონების გადასვლა. ქალაქის მცხოვრებლების საგრძნობი ნაწილი სოფელს უბრუნდება და მიწას ინტელიგენტები და ქალაქის კვალიფიციური მუშებიც ამუშავებენ. სოფელი იზრდება, სოფლის მოსახლეობა მრავლდება.

საქონლის მანეთის გამოანგარიშების სიძნელემ და მისმა ზღაპრულმა ზრდამ, საფინანსო სისტემაში გამოიწვია ტეხნიკური გართულებანი და გარდაუვალი დაბრკოლებანი.

შეიქნა აუცილებლობა მყარი ფულის გამოშვებისა. 1923 წ. მეორე ნახევარში სახელმწიფო ბანკი უშვებს ჩერვონცებს, რომლის პარიტეტი: „ოქრო, ძვირფასი ლითონები და ქვები, უცხოეთის დევიზები და ვალდებულებები ინახება სახ. ბანკში, და მხოლოდ მთავრობის საგანგებო ბრძანებითაა შესაძლებელი ჩერვონეცის ოქროზე გამოცვლა“. ჩერვონეცის კურსი ძველ ათ მანეთიან ოქროს გაუთანასწორდა.

1923 წელშივე იქნა გამოშვებული სახაზინო ბილეთები: 1-3-5 მანეთის რაოდენობით. სახაზინო ბილეთს რეალური პარიტეტი არა აქვს. როგორც წვრილი, ხურდა ფულისთვის იქნა მოჭრილი ვერცხლის და სპილენძის მონეთები: სპილენძის 1-2-3-5, კაპ., ხოლო ვერცხლის — 10, 15, 20, 50, 100 კაპ. ჩერვონეცმა გამოსვლისათანავე მოსპო შავი ბირჟა და ვალიუტით სპეკულაცია.

1925-26 წლამდე ჩერვონეცის რეალური და ნომინალური ფასი თანასწორი იყო. უცხო ვალიუტის ყიდვა-გაყიდვას, ფულ-ბარათის გადაგზავნ-გადმოგზავნას სახელმწიფო ბანკი ახდენდა პრეტენდენტის მოთხოვნით, ე. ი. თუ კლიენტი მოისურვებდა — ბანკი მას ჩერვონცების მაგივრად დოლარებს, სტერლინგებს ან სხვა უცხო ვალიუტას აძლევდა ოფიციალური კურსით. ჩერვონეცის შემოღებით იფურჩქნება მთელი სახალხო მეურნეობა, უმთავრესად კი ქალაქის მეურნეობა. ქალაქს უბრუნდება ინტელიგენცია და მუშები, გლეხობის ნაწილიც სტოვებს სოფელს და ქალაქში გამორბის. სოფელში მხოლოდ ნამდვილი მიწის მუშები და შეძლებული მეურნენი რჩებიან. სახელმწიფოც ნორმალურ კალაპოტში დგება. სახელმწიფო ბიუჯეტი დეფიციტიანი არ არის. თითქმის მიღწეულ იქნა ომის წინა ხანის პირობებთან: მუშის ხელფასი, საქონლის ფასი, საქონლის რაოდენობა, ბაზარი და საქონლის ხარისხი. ყველა სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო - სამრეწველო დაწესებულებები გადადის სამეურნეო ანგარიშზე და ბაზარზე ეს დაწესებულებები გამოდიან, როგორც კერძო პირები. მეტოქეობა კერძოსა და სახელმწიფო კაპიტალს შორის იზრდება. კერძო ინიციატივა სასიცოცხლო ნიშნის გამოდგა, სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო-სამრეწველოები კონკურენციას ვერ უძლებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დღითი-დღე კოტრდებიან, მიუხედავად იმისა, რომ „კაზიონური“ ვაჭრობა-მრეწველობა თავისუფალი იყო ხარკებიდან და გადასახადებიდან. კერძო კაპიტალის და კერძო ინიციატივის სწრაფმა ზრდამ წარმოშვა კომუნისტურ პარტიაში ახალი პრობლემები. დგება საკითხი საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციის (ს. ს. .ს რ. კ.-ას დიდ ეკონომისტ — სმილგას პერსპექტივები). საკავშირო ყრილობებზე იმართება დისკუსიები, იბადება ოპოზიციები. საბჭოთა სისტემის ლიკვიდატორები მარცხდებიან. კომუნისტურ პარტიას სახალხო მეურნეობა გადაყავს გეგმიან მეურნეობის რელსებზე. 1927-28 წელი პარტიისკრიზისით და სახალხო მეურნეობის დაქვეითებით აღინიშნება.

კომუნისტური პარტიის გეგმიანი მეურნეობა ანუ პარტიის გენერალური ხაზი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას (კერძო მეურნეობის მოსპობა და კოლმეურნეობის შემოღება) და მსხვილი ინდუსტრიის განვითარების მიზნებს ისახავს; ამ მიზნის მისაღწევად 1928-29 წელში დგება სახალხო მეურნეობის წარმართვისათვის ხუთ-წლიანი გეგმა: „ქვეყნის დაცვის ამოცანების საფუძველზე ძლიერდება კაპიტალური დაბანდებანი მძიმე მრეწველობაში, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას წარმოების საშუალებათა დამზადების-ზრდის სწრაფი ტემპები, ვიდრე მოხმარების საგნების განვითარება. ამასთან ერთად წესდება რიცხვი და ვადები მათ აშენების შესახებ რაციონალიზაციის ჩატარებით — თვით-ღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, მუშის ხელ-ფასის მომატება და მისი კულტურული და მატერიალური დონის ამაღლება.

ხუთწლედის შემოღებისათანავე საფინანსო სისტემაშიც შემოდის ახალი რეფორმა, რომლითაც სახელმწიფო ბანკმა დაჰკარგა ბანკის მნიშვნელობა. 1928-29 წლიდან ბანკმა კრედიტის გაცემა იწყო არა ქონებით უზრუნველყოფილ თამასუქებით ფაბრიკა-ქარხნებზე, არამედ მეგობრული თამასუქებით, და იმ დროიდან ფაბრიკა-ქარხნებს და „სმუსს“ (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო) ყველა დაწესებულებებს კრედიტები ეძლევათ ხუთწლედის საფინანსო-საწარმოო გეგმების ფარგლებში. მეგობრული თანასუქები პროტესტდებიან, „სმუსს“ დაწესებულებებს წინანდებურად გამოაქვთ ბანკიდან კრედიტები. 1928-29 წლის კრედიტების რეფორმამ ჩერვონეცის კურსი თანდათან დასცა, იწყება ფასების აწევა საქონელზე და საქონლის სიმშილი.

1929-30 წლებში მანეთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე დავიდა, ომის წინადროინდელ პირობებთან შედარებით 10-15 კაპეიკზე, ხოლო ქალაქის ფაბრიკატებზე უფრო ნაკლები და ჩერვონეცმა „დენზნაკ“-ის სახე მიიღო. საფინანსო სისტემა ყველა დროის და ყველა ხალხების სახალხო მეურნეობის ნამდვილი სარკეა. მიმდინარე წელს შემოიღეს საბჭოთა ფინანსებში კიდევ ახალი რეფორმა, რომელიც არსებითად იგივეა, რაც იყო ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ეპოქაში ე. ი. კრედიტის გაცემა არა მეგობრულ თამასუქებით, არამედ ქონებითი უზრუნველყოფილებით. ამ ნიადაგზე ეხლა იხურება მრავალი ქარხნები და ფაბრიკები, რომელთაც ვერ შესწევთ გაპროტესტებული თამასუქების გამოყიდვა.

ფინანსების ბუნებრივი კანონი და ბანკის განსაკუთრებული პრინციპები საბჭოთა სახელმწიფოს ალტერნატივას უყენებს: — ან ტემპების შენელება და მაშასადამე უკან დახევა, ან ჩერვონეცის „დენზნაკად“ გადაქცევა, რაც პრაქტიკაში სახალხო მეურნეობის მოშლას მოასწავებს. ფულის ინფლაცია ყოველ სახელმწიფოში და ყველა ეპოქაში, სახალხო მეურნეობის განადგურებით და უკან-დახევით მთავრდებოდა. ამ ურყევ კანონიდან არც საბჭოთა სახალხო მეურნეობაა გამორიცხული.

მ. ნიკოლაიშვილი

(გაგრძელება იქნება)

ბრიტანეთის იმპერია

(გაგრძელება)

როდესაც ინგლისის სახელმწიფოებრივი განვითარება იმ დონემდე მივიდა, რომ იგი ცენტრალური შეიქმნა და მთავრობას უკვე შეეძლო თავის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა, ახლად სავაჭრო ასპარეზზე გამოსული ინგლისელი ვაჭრები მთავრობის დახმარებით უცხოელთა ვაჭრობას ბრძოლას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწევდენ და 1598 წელს იმასაც კი მიაღწიეს რომ, მთავრობამ დახურა უცხოელების სავაჭრო ცენტრი ლონდონში —ეგრედ წოდებული — შტალჰოფი.

ინგლისელმა ვაჭრებმა თავის ხელში გადაიტანეს აგრეთვე აზიური საქონლით ვაჭრობა, მაგრამ ახლად ფეხ-ადგმული ინგლისური საფეიქრო წარმოება, ინგლისური მატყლის საქონელი ინდოეთის საქონელს მეტოქეობას ვერ გაუწევდა. ინდოეთის საქონელი (ტექსტილი) იყო ნაზი და შვენიერი, მაგარი და კარგი, — ინგლისური კი — უხეში და უვარგისი; რასაკვირველია, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ აზიის ფარჩეულობას ვერავინ შეეჯიბრებოდა. ინდოეთის ტექსტილი ინგლისის ახლად ფეხ-ადგმულ წარმოებას გაკოტრებას უქადდა, ამიტომინგლისელი ფეიქრები შეეცადენ წაებაძათ ინდოეთის წარმოებისათვის შალის კეთებაში, მაგრამ როდესაც ინდოეთთან ზღვით მიმოსვლა დაიწყო, — იქედან იმოდენა მატყლის საქონელი შემოიზიდა რომ, ინგლისური წარმოება უფსკრულის წინაშე დადგა. ამ სასტიკი ქიშპობის ნიადაგზე, ინგლისელ ფეიქრებს, რათა ცხოვრებისა და მუშაობის პირობა ჰქონოდათ, უნდა გამოეგონათ რაიმე, რითაც ისინი ინდოეთის ტექსტილს დაამარცხებდენ. ეს შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკის განვითარებით და ეს მართლაც ასე მოხდა. (ჯონ კეის გამოგონება 1733 წ., ჯემს კარგრივის — 1767 წ., არკრაიტის — 1786 წ., რომლითაც შესაძლებელი გახდა წარმოების მექანიზაციის პროცესი). ამ მექანიზაციის პროცესის შემწეობით, და აგრეთვე იმით, რომ მატყლის მაგივრად ბამბის ხმარება დაიწყეს, მოხდა ის ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომ ინგლისის ტექსტილმა მთელი მაშინდელი მსოფლიო დაიპყრო, თვით ინდოეთში შეიჭრა და ინდოეთის ტექსტილური წარმოება გააკოტრა და გაანადგურა, რასაკვირველია ფასების ბრძოლის ასპარეზზე.

უკვე 1802 წელს ინგლისიდან გატანილია მეტი ბამბის საქონელი, ვინემ მატყლის. როგორც ხედავთ — მთელი თანამედროვე გიგანტური მრეწველობა — ტექსტილური — და მაშასადამე, ევროპის ცივილიზაცია — ინდოეთის შალთან ბრძოლაში დაიბადა.

ვინაიდან აზიასთან ვაჭრობა ხმელეთით ძნელი, ძვირი და საშიში იყო, კომპასის აღმოჩენის შემდეგ (1310 წ.) მხნე და გულადი მეზღვაური ვაჭრები სცდილობდენ ინდოეთისაკენ საზღვაო გზები გამოეძებნათ. ამ ძებნაში კოლუმბუსმა აღმოაჩინა 1492 წ. ამერიკა და 1498 წ. ვასკო-დე-გამამ აღმოსავლეთი ინდოეთი და ამას შემდეგ აღმოჩენილ იქმნენ დანარჩენი ქვეყნებიც.

ამ მოვლენას ერთი დიდი შედეგი ჰქონდა — აზიისაკენ სავაჭრო გზები ხმელთაშუაზღვის ნაპიპებიდან ოკეანებზე გადავიდა და იტალიის ქალაქები-რესპუბლიკების ძლიერება დაემხო; დაიხურა აგრეთვე პო-სა და რაინ-ის გზები.

ახალი ქვეყნების აღმოჩენამ და იქიდან შემოზიდულმა ოქრო-ვერცხლმა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ევროპის სიმდიდრესა და ინდუსტრიალიზაციას, მსოფლიო იმპერიად გაჰხადა ევროპის მეზღვაური სახელმწიფონი: ისპანეთი, პორტუგალია, ჰოლანდეთი. მას შემდეგ რაც დიდი საკაჭრო გზები ოკეანებზე გადავიდა, ინგლისის მიზანი შეიქმნა: — გემთა რიცხვი და მოცულობა გაეზარდა, და საზღვაო სავაჭრო პუნკტები ხელში ჩაეგდო. ჯერ კიდევ 1430 წ. ჩიჩესტერის ეპისკოპოზი ადამ-დე მოლეინსი სწერდა, რომ ინგლისის ნამდვილი პოლიტიკა სრუტეების დაპყრობა უნდა იქნეს, რათა ამით საზღვაო გზებზე ბატონობდესო. ამ მიზნის აღებით, ნავოსნობის გაძლიერება იყო საჭირო და ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი მეტისმეტად სუსტი იყო, — 1485 წ. ინგლისის მთავრობამ საფრანგეთიდან საქონელის შემოზიდვა (ღვინო და საღებავები) უცხოეთის გემებით აკრძალა და დიდი ინგლისური რევოლუციის დროს, — 1651 წ. გამოსცა ეგრედ წოდებული ნავიგაციის აკტი, რომლითაც უცხოეთის გემებს ინგლისში მიმოსვლის საშუალება მოუსპეს და ამით ინგლისური ნავოსნობა გაფურჩქვნის გზაზე დააყენეს.

ინგლისის კუნძულებრივმა მდგომარეობამ უდიდესი როლი ითამაშა იმპერიის შექმნაში. თვით გეოგრაფიული მდგომარეობა უკარნახებდა ინგლისს ზღვისაკენ გაეხედა და ზღვა თავის სამოქმედო ასპარეზად გაეხადა. როდესაც იგი ცოტად თუ ბევრად გაძლიერებული გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე, ზღვის გზები და ზღვის გაღმა ქვეყნების ეკონომიკა უკვე დაკავებული იყო: ისპანეთის, პორტუგალიის, საფრანგეთის, ჰოლანდეთის მიერ, და ინგლისი, რომელიც თავის ფეხ-ადგმულ და წელში მომაგრებულ მრეწველობისათვის ითხოვდა ბამბას და მრეწველობის გაზრდით გამოწვეულ ქალაქთა დიდ მოსახლეობის საზრდოს, მაშასადამე, კოლონიებს, საიდანაც იგი უნდა შემოეზიდათ, ერთი მხრივ, და თავის საქონელის გაზიდვისათვის კი ბაზრებს, მაშასადამე, კოლონიებს, მეორე მხრივ, მოუხდა დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა, ომები, სანამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკვდრო-სასიცოცხლო. დავაში მოწინააღმდეგენი არ გაანადგურა; ამ დიდ ბრძოლაში ინგლისს დარჩა მრავალი ახალი ქვეყანა და მდიდარი კოლონიები.

თვით კუნძულებზე ინგლისი მალე განმტკიცდა. 1601 წელს საბოლოოდ დაიპყრო ირლანდია და 1707 წელს შეიერთა სკოტლანდია, რის შემდეგ მთელს ამ სამეფოს დიდი ბრიტანეთი დაერქვა.

დიდი ბრიტანეთი ზღვისთვისა და ზღვაზე ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა და ამაში პირველი როლის მოთამაშე იყვნენ ვაჭრები-ავანტურისტები, მერჩანტ-ადვენჩერერს, რომელნიც საქონელითა და იარაღით ახალ ქვეყნებს იპყრობდენ. იქ, სადაც ფეხი მოეკიდებოდათ და ამას ჰავა ხელს უწყობდა, აარსებდენ ისინი ახალშენებს, და ამგვარად, ანგლო-საქსონური თესლი თითქმის მთელ ახალ ქვეყანას მოეფინა.

როგორც მეზღვაურ სახელმწიფოს, რასაკვირველია, დიდ ბრიტანეთს პირველიყურადღება უნდა მიექცია გემთა გამაჩერებელ პუნკტებისათვის ანუ ნავსადგურებისათვის და საზღვაო სტრატეგიულ ადგილებისათვის. ეს საზღვაო პუნკტები გემებს სჭირდებოდათ სასმელი წყლის მისაღებად და სავაჭროდ; შემდეგში ისინი გადაიქცენ ქვანახშირისა და ეხლა კიდევ ნავთის მიმწრდებელ სადგურებად.. არ არის არც ერთი საზღვაო გზის მნიშვნელოვანი პუნკტი (პანამას კანალი ახალია და ამერიკის ხელშია), რომელსაც ინგლისი ან არ ფლობდეს, პატრონობდეს ან კონტროლობდეს.

სამასი წლის განმავლობაში სწარმოებდა ინგლისელების მიერ ეს დაუღალავი, დაუდგრომელი და უდრეკი ბრძოლა დიდი ბრიტანეთის იმპერიის შენობის აგებისათვის, და აქ, ამ ბრძოლაში გამოჩნდა ინგლისელის გენია, მისი შორსგამჭვრეტი გონება, შეუდრეკელი ბრძოლის უნარი და მტკიცე ნება, რომელიც ამ მოცულობით არც ერთ ხალხს არ გამოუჩენია.

2

ბრიტანეთის კოლონიური იმპერია

ბრიტანეთის იმპერია შეიცავს 35 8000 000 ოთხკუთხ კილომეტრს ანუ მთელი დედამიწის თითქმის ერთ მეოთხედს. იგი სამჯერ მეტია ვინემ მთელი ევროპა, და ორჯერ — ვინემ სამხრეთი ამერიკა. ბრიტანეთის იმპერიაში მყოფი დომინიონი კანადა ევროპის ოდენაა, ავსტრალაზია კი კანადაზე მეტი. ინდოეთი ევროპის ნახევარს უდრის.

ისტორიას არ ახსოვს ასეთი უზარმაზარი სახელმწიფო. ძველი რომის იმპერია ბრიტანეთის იმპერიის ერთ მეხუთედს შეედრება; არაბეთის, ჩინეთის, ისპანეთის ძველი იმპერიები მხოლოდ ერთ მესამედს თუ წარმოადგენდენ; ხოლო რუსეთის იმპერია კი მის ნახევარზე ცოტა მეტი იყო.

ბრიტანეთის იმპერიის საზღვრები მთელს მსოფლიოშია გადაჭიმული; თვით იმპერია უმთავრესად ევროპის გარეშე იმყოფება: — იმპერიის 16 პროც. არის აზიაში; 24 პროცენტი ავსტრალაზიაში, 27 — აფრიკაში, 32 — ამერიკაში, და თვით ევროპაში კი მხოლოდ ერთი პროცენტი.

რაზედ ეყრდნობა ეს ვეებერთელა სახელმწიფო და რაა იმის მიზეზი, რომ ეს ქვეყანა დღემდე მაგრად სდგას და მსოფლიოში გაბატონებული ადგილი უკავია? — ამის მიზეზი რამოდენიმეა: —

ვიკ. ნოზაძე

დადგენილება

ოდენკურის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის საზოგადო კრებისა 29 — 7.

ახალგაზრდა მარქსისტთა ოდენკურის ორგანიზაცია, გაეცნო რა პარიზიდან მოსულ ინფორმაციას დელეგაციის გადაყენების შესახებ, გამოიტანა შემდეგი დადგენილება: —

1. მიღებულ იქნას მთლიანად პარიზის ორგანიზაციის დადგენილებები.

2. დაევალოს ამხ. მ. ხუნდაძეს მოიწვიოს საზღვარგარეთ მყოფ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების კონფერენცია — დელეგაციის კანდიდატთა ასარჩევად, რომლებიც დროებით შეასრულებენ დელეგაციის ფუნქციებს, სანამ საქართველო აირჩევდეს კანონიერ დელეგაციას.

კრების თავჯდომარე: — **მ. მელუა**

მდივანი: — **ვ. ზამბახიძე**

შემოწირულება

მივიღეთ ჩვენი ჟურნალის სასარგებლოდ შემდეგი ამხანაგებისაგან: — ოდენკურის ახალგაზრდა სოც. დემ. ორგანიზაციისაგან 265 ფრ.· პარიზელი ამხანაგებისაგან — 100; დ. ბუაჩისაგან — 15; დ. მარჯანიშვილისაგან — 20; შ. ჯაველიძისაგან — 20; სულ — **420** ფრ.

რედაქცია გულითად მადლობას უცხადებს ამხანაგებს.

მისამართი: —

Mr. Papava. Chemin du Reposoir, Paris (14)

Le Gérant: A. L. Dauffard

Imp. Basile, 1, Villa Chauvelot, Paris (15e)